# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 59

„5“ დეკემბერი 2017 წ

ქ. თბილისი

**2009 წლის 20 თებერვლის „თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $127^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „2009 წლის 20 თებერვალის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის N44.23.873 განკარგულების შესაბამისად, შევიდეს ცვლილება 2009 წლის 20 თებერვალის “ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ” ხელშეკრულებით (სანოტარო მოქ. რეგ. N632/1) განსაზღვრულ ნასყიდობის საგანში, კერძოდ, ნასყიდობის საგნიდან ამოღებულ იქნეს „ვ“ პუნქტი და ნასყიდობის საგნად განისაზღვროს:

ა) სატრანსფორმატორო ქვესადგური N13ა (ექსპ.შესვლის წელი 1985);

ბ) 04 კვ-იანი დ/მ-ის გამანაწილებელი კარადა შო 70 (ექსპ.შესვლის წელი 2007);

გ) საკაბელო ხაზი 35/6 სქ 13ა 820 მ (ექსპ.შესვლის წელი 2007);

დ) საკაბელო ხაზი სქ 1ა-13ა 1340 მ (ექსპ.შესვლის წელი 2007);

ე) გადამცემი რადიოცენტრის ღობე (ექსპ.შესვლის წელი 1999);

ვ) მ/მაბვიანი მანაწილებელი მოწყობილობა - კსო-366 (ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1975);

ზ) ტრანსფორმატორი (ექსპ.შესვლის წელი 1980);

თ) ტრანსფორმატორი ტმ-160/6 N893 (ექსპ.შესვლის წელი 1998);

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე